პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 6 (12822) | ოთხშაბათი, 8 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ღირსეული შეხვედრა!

მწყობრში ახალი მაღაროელები

მერევის მაღაროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკავშირო მშენებლობაა. მისი გაყვანა-გამართვისათვის ჰიათურელმა გვირაბმშენებლებმა მცირე შრომა როდი გაწიეთ. საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო ამაღლდა შრომითი პათოსი.

კაპიტალური და საინტენსიური შტოლნები ჩვენ ბეტონით 1.299 გრძივ მეტრზე გავამაგრეთ, სალაგე შტრეკები გაყვანილია 1.627 მეტრზე. მთავარ საზიდებში დაგებულია რკინიგზა, გაყვანილია საელმავლო ხაზი. აქ აშენდა ელექტროქვესადგური, საინტენსიური შენობა, საცხოვრებელი ბინები, სასადილო-მაღაზია.

მაღაროს მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს აყ. თურმანიძის გვირაბგამყვანმა, ვლ. ტეფნაძის მებეტონეთა, ს. აბესაძისა და ო. ვეშაპიძის რკინიგზელთა ბრიგადებმა. შრომითი მამაცობის საუცხოო ნიმუშები გვიჩვენეს მაღაროს მშენებლებმა ნ. ძინძიბაძემ, პავლე, ნოე, შოთა და დიმიტრი ასანიძეებმა, თავდადებით იმუშავა ს. კუპატაძის ცალამ. გვირაბის ჩქაროსნულ გაყვანაში თავი ისახელა ო. კობახიძის უბანმა. მან დენერგა ოთხეკალიანი მუშაობა და თვეში გვირაბი 210 მეტრზე გაჰყავდა.

ახალი წლის პირველ დღეს მწყობრში ჩადგა მერევის მაღაროო. იგი ახლა უკვე იძლევა მარგანეცს. ეს საქართველოს კპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილი ჩვენი საჩუქარია.

კ. ზამთარაძე,
„საქშახტმშენის“ ტრესტის ჰიათურის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

თქვენთვის — მომხმარებლებო!

ახალი სამეურნეო წლის პირველ დღეებში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია თბილისის საკონდიტრო კომბინატის კამფეტ-შოკოლადის საამქროს კოლექტივმა, რომელსაც შ. გაგნიძე უძღვება. ამ საამქრომ ოთხ სამუშაო დღეში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ორ ტონაზე მეტი ნაწარმი მიაწოდა.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში მთელ კომბინატში დაწინაურდა კამფეტის სამსხმელო მანქანის ბრიგადა, რომელსაც კ. ტატალიანი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ განვლილ ოთხ დღეში საწარმოო გეგმა 110 პროცენტით განაღდა.

კომბინატის მთელი კოლექტივი ახლა ომისათვის იბრძვის, რომ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნამდე სამშობლოს უპატაკოს თვის დავალების შესრულება.

მხოლოდ პირველი ხარისხისა

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა № 2-ის კოლექტივმა სასახელოდ დაამთავრა გასული სამეურნეო წელი — 23 დეკემბრის საშობოლოს უპატაკა წლიური გეგმის შესრულება; შრომის მაღალი ტემპი განავითარა შვიდწლედის მეექვსე წლის პირველი დღიდანვე და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევს. ფაბრიკის ყველა საამქრო და უბანი დღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

კარგი სტარტი აიღო და შეჯიბრების სათავეშია საქსოვი უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ვ. ჩიტაშვილი უძღვება. ბრიგადამ იანვრის ოთხ დღეში გამოუშვა 240 ცალი ქალის შალნარევი ქაკეტები, გეგმა კი 206 ცალს ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ პირველი ხარისხისაა.

საწარმოს კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თვის დავალება ყრილობის გახსნამდე გაანაღდოს და გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს დიდძალი ტრიკოტაჟი.

შრომითი გამარჯვებებით ვუპაჯაკოთ ყრილობას!

გუშინ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის მორიგი, XXII ყრილობა მოწვეულია მიმდინარე წლის 29 იანვარს.

საქართველოს კომუნისტთა ფორუმები ყოველთვის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ მომავალი ყრილობის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. იგი ხომ პირველად იმართება მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების ფართო და ნათელი პროგრამა. საქართველოს კომუნისტთა მორიგი ყრილობა სწორედ იმ დიდ მუშაობას შეაჯამებს, რაც საქართველოს მშრომელებმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს სკკპ XXII ყრილობის, მისი მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ცნობას საქართველოს კომპარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ დიდი კმაყოფილებითა და პასუხისმგებლობის ამაღლების გრძნობით ხვდებიან რესპუბლიკის საწარმოებისა და მშენებლობების, მაღაროებისა და შახტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო დაწესებულებების კოლექტივები, რომლებმაც სულ ახლახან წარმატებებით გააცილეს გასული სამეურნეო წელი და ამჟამად ეჭიდებიან შვიდწლედის მეექვსე წლის ახალ, საპატიო და პასუხსაგებ ზღუდეებს.

რით მივალთ ყრილობაზე, რა უფრო შესანიშნავ გამარჯვებას ვუპატაკებთ მას? — აი თვითეული მშრომელის, მშრომელთა კოლექტივის, პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმე. მათ კარგად იციან, რომ ყრილობისათვის ყველაზე საუკეთესო საჩუქარია ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვება, სახელმწიფო გეგმების, დავალებების სანიმუშოდ შესრულება.

და ამ დღეებში, ძიებით, შემართებით, შემოქმედებითი აქტივობით სავსე დღეებში, წინასაყრილობო ვახტზე დგებიან მეშახტეები და მანქანათმშენებლები, „დიდი ქიმიისათვის“ მოლაშქრეთა კოლექტივები. ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას აჩაღებენ მემინდვრეები, მეჩაიეები, მეცხოველეები. ისინი ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ 1962-1963 წლებში მოპოვებულ გამარჯვებებს: სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებას, წარმატებებს ჩაის, მარცვლეულის და სხვა პროდუქტების წარმოების ფრონტზე — მიუმატონ კიდევ ახალი, ყრილობისათვის მზადების დღეებში მოპოვებული წარმატებები.

ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ ჩაღდება თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და სხვა საწარმოებში. განსაკუთრებული აღმავლობაა რუსთავის აზოტოვანი სასუქების, ქუთაისის ლითოფონის ქარხნებსა და ქიმიური მრეწველობის სხვა საწარმოებში. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეებმა გ. ბერეკაშვილმა, გ. სიგუამ, ა. ფანცულაიამ უკვე გამოადნეს ზეგეგმითი ფოლადის პირველი ათეული ტონები. ჰიათურელ მაღაროელთა შორის შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატები დ. კილაძე და ბ. აბრამიშვილი. გეგმების გადაჭარბებით შესრულებით აღინიშნება ეს დღეები თბილისის პლასტმასის ქარხანაში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

დიდი შრომისა და შემოქმედების დღეებია სოფლად. სოფლის მშრომელები ყრილობას პირნათლები ხვდებიან იმით, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა ზედიზედ ორჯერ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საუკეთესო შრომისათვის. ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურეს გასულ წელს რესპუბლიკის მარცვლეულის ფრონტის მებრძოლებმა — მინდვრის მშრომელებმა. ახლა, როცა კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, საფუძველს უყრიან მომდინარე წლის უხვ მოსავალს, თავიანთ გულისყურს მომართავენ იქით, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის. თავიანთ მეურნეობებში შექმნეს ქიმიური ცოდნის პროპაგანდის სკოლები, სადაც ეუფლებიან მინერალური სასუქების — მოსავლიანობის ამაღლების ამ მძლავრი რეზერვის — გონივრულად გამოყენების ხელოვნებას.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეები როგორც სოფლად, ისე ქალაქად ემთხვევა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რესპუბლიკის მშრომელების, პარტიული ორგანიზაციების იმ დიდი შემოქმედებითი შრომისა და აქტივობის დღეებს, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებებით — „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“, ამჟამად იმართება საოლქო, საქალაქო, რაიონული, სამრეწველო-საწარმოო ზონებისა და საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების პლენუმები და აქტივების კრებები, სადაც გულდასმით განიხილავენ დეკემბრის პლენუმის შედეგებს, სახავენ პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის თავიანთი მომავალი მუშაობის კონკრეტულ გეგმებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პლენუმები და აქტივის კრებები ყველგან წარიმართოს საქმიანად, მაღალ დონეზე, პარტიის მიზანდასახულობანი ახლოს მივიტანოთ თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის გულთან და გონებასთან, დავრაზმოთ ისინი ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის აქტიურ მებრძოლებად.

ვ. ი. ლენინი რუსეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებისათვის გაგზავნილ წერილში პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ ამბობდა:

„დაე პარტიის ყველა წევრმა დაძაბოს მთელი ძალ-ღონე, რათა პარტიის ყრილობაზე მოიტანოს შემოწმებული, გადამუშავებული, შეჯამებული პრაქტიკული გამოცდილება“.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებიც თავიანთ ყრილობაზე წარსდგებიან უდიდესი პრაქტიკული გამოცდილებით, რაც მათ შეიძინეს პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მეტად მდიდარი გამოცდილება დაგროვეს პარტიული ხელმძღვანელობის საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნის შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით განხორციელდა. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში. ამ მუშაობის არსენალი შეივსო ახალი ფორმებითა და მეთოდებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ კი იდეოლოგიური მოღვაწეობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, სამეურნეო მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს. მოკლე დროში მეტად საყურადღებო მუშაობა განხორციელდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანებმა. ყოველივე ეს კი მოხდა საანგარიშო პერიოდში, საქართველოს კპ XXI ყრილობის შემდეგ.

ახლა ამოცანა ის არის, რომ რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა, სამრეწველო-საწარმოო ზონებისა და საწარმოო სამმართველოთა პარტიულმა კომიტეტებმა, თვითეულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნარიანად გამოიყენოს ის დიდი შრომითი აქტივობა, რაც მთელ ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს, და წარმართოს მშრომელთა შემოქმედებითი ენერგია კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

და ამ დღეების მოღვაწეობის გამოცდილებაც მივუმატოთ იმ შემოწმებულ, გადამუშავებულ, შეჯამებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც საქართველოს კომპარტიის მომავალ ყრილობაზე უნდა მივიტანოთ.

ფხიზელი თვალი

ბორის ბამბიულის კომბინატის გამომყვან წარმოებაში შეხვედებით ცქრიალა გოგონებს, რომელთა მახვილ თვალს ქსოვილში ერთი გამრუდებული ძაფიც არ გამოეპარება. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოწინავე წუნმდებელს ზინა ქარსანიშვილს, რომელიც გულდასმით ამოწმებს ქალის საკაბის ხარისხს. მახვილი თვალის წუნმდებლები აქ სხვებიც ბევრნი არიან, მათი თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ მომხმარებელი გორის კომბინატიდან მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილებს იღებს.

ფოტო შ. კუკულავასი.

პირველ დღეებში

ცხაკაია. (საკ. კორ.). საშენ მასალათა კომბინატში ფართოდ გაშალა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. იანვრის პირველ დღეებში უკვე გამოშვებულია ზეგეგმითი კირი, აგური, საშენი ქვა და სხვ. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის დანერგვას. ამას წინათ მწყობრში ჩადგა კირის საფქვავი მეორე წისქვილი, საამქროში დაიდგა მტვერსასრუტი ვენტილატორი.

საბჭოთა კავშირი — ამერიკის მოლაპარაკეგა

მოსკოვი, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს, მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება გაცვლის შესახებ ტექნიკის, განათლებისა და კულტურის დარგში 1964-1965 წლებში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, ამერიკის დელეგაციას — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ფ. დ. კოლერი.

..საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის“ პირველი ტომი

ლენინგრადი, 7 იანვარი. (საკდესის კორ.). „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის“ ექვსტომეულის პირველი ტომის გამოცემას შეუდგა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ა. მ. გორკის სახელობის წიგნის ფაბრიკა „ბეჭდვითი სანლი“. მრავალტომიანი შრომის მთელი ტირაჟი პოლიტიკური გამომცემლობის შეკვეთით დაიბეჭდება ლენინგრადში.

პირველი ტომი, რომელიც მასობრივი ტირაჟით გამოდის, შეიცავს მასალებს ბოლშევიკური პარტიის შექმნის პერიოდის შესახებ (1883-1904 წლები), წიგნი მდიდრულადაა გაფორმებული.

როგორც შალი? არა, უკეთესი!

საბჭოთა ადამიანებისათვის

ყველასათვის ცნობილი კაპრონის საფუძველზე გაკეთებული, ახალი საინტერესო მასალის ტანსაცმლის გამოშვება დაიწყო მოსკოვის ოლქის კოსინოს სატრიკოტაჟო ფაბრიკამ. ესენია ფერადი, გეომეტრიული შეკერილი სვიტრები, კოფთები, კოსტიუმები გაკეთებული მოცულობითი ძაფებისაგან.

კაპრონის თხელი და საკმაოდ მკვრივი ბოჭკო მთელი რიგი გარდაქმნების შედეგად გადაიქცევა მსხვილ, ფაფუჭ ძაფად, რომელიც მიკროსკოპული მარყუჟებისაგან შედგება. მიკროსკოპით რომ შეეხედოთ შალისა და აი ასეთ ფაფუჭ კაპრონის ძაფს, მსგავსება ნათელი იქნება. გარეგნულადაც ეს ნაწარმი სინამდვილეში წააგავს შალისას.

მაგრამ მსგავსება ამით არ მთავრდება. შემდეგ იწყება განსხვავება, რის დროსაც შედარება ნატურალური შალის სასარგებლოდ ყოველთვის როდი მთავრდება. მოცულობითი კაპრონისაგან დამზადებული ტანსაცმელი მშვენივრად ირეცხება და ინარჩუნებს თავდაპირველ ფორმას. არასდროს არ ჯდება, არ ითელება, როგორც შალისა.

მოცულობითი კაპრონისაგან დამზადებული ნაწარმი მალე შრება. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს სისველე მათგან „ჩამოგორდა“, რაც არ შეიძლება ვთქვათ შალის ნაწარმზე.

წელს მოცულობითი კაპრონის ნაწარმის გამოშვებას კოსინოს გარდა აითვისებს ჩვენი ქვეყნის კიდევ რამდენიმე სატრიკოტაჟო ფაბრიკა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკეგა

მოსკოვი, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს, მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება გაცვლის შესახებ ტექნიკის, განათლებისა და კულტურის დარგში 1964-1965 წლებში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კ. რომანოვსკი, ამერიკის დელეგაციას — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ფ. დ. კოლერი.

სომხეთის კომპარტიის ყრილობა

ერევანი, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო სომხეთის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

დელეგატებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი: ცენტრალური კომიტეტისა და საარევანო კომისიის საანგარიშო მოხსენებები, სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ნ. ზარობიანმა.

ყრილობა გრძელდება. მის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე გ. ნ. ბოჩკარიოვი.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ბაკო, 6 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს აზერბაიჯანის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო აზერბაიჯანის სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ.

სესია განიხილავს აზერბაიჯანის სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964-1965 წლების სახელმწიფო გეგმისა და ამავე პერიოდისთვის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხებს.

პირველი წარმაჯებანი

სტავროპოლის მხარის გიორგიევსკის მექანიზატორთა ინიციატივით ჩვენი ქვეყნის სოფლის მექანიზატორები ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საველე სამუშაოებისათვის ტექნიკის წარმატებით მოსამზადებლად. უკვე მოპოვებულია პირველი შრომითი გამარჯვებები. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 110 პროცენტით შეასრულეს ტრაქტორების შეკეთების გასული წლის IV კვარტალის გეგმა. 1 ოქტომბრიდან სახელოსნოებმა გამოუშვეს 404,6 ათასი სხვადასხვა სიმძლავრის მანქანა.

გადამეტებით არის შესრულებული აგრეთვე გაზაფხულისათვის გუთნების, კულტივატორებისა და სათესლების მომზადების კვარტალური დავალება.

გიორგიევსკის მექანიზატორებმა ახალი წლისათვის დაამთავრეს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის შემოდგომა-ზამთრის რემონტი. მათ გადაწყვიტეს პირველი აპრილისათვის დაამთავრონ მოსავლის ასაღები ტექნიკის მომზადება. სრულიად საკავშირო შეჯიბრების ინიციატორთა შესანიშნავ საქმეებს გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში. (საკდესი).



დიდი ქიმია ხალხის სამსახურში

მარგანეცის პირველი ქიმიური ლაბორატორია

ეს მოხდა სამოცი წლის წინათ. მარგანეცის მრეწველთა საბჭო იმ ხანად ქუთაისში იმყოფებოდა. მას ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ. ზდანოვიჩი (გ. მაიაშვილი) თავმჯდომარეობდა.

1903 წლის 7 იანვარს ქუთაისის თეატრში კავკასიის სამთო სამმართველოს პირველი სამთო ოლქის უფროსის, ინჟინერ ა. ცეიტლინის თავმჯდომარეობით გაიხსნა მარგანეცის მრეწველების მეხუთე ყრილობა.

ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, ყრილობის დაწყებამდე იგრძნობოდა, რომ ოპოზიციასა და გ. ზდანოვიჩის მომხრეებს შორის ბრძოლას მწვავე ხასიათი ექნებოდაო. გაზეთი „ცნობის ფურცელში“ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე პ. უმიკაშვილი მაშინ წერდა: „ქუთაისში დაიწყო შავი ქვის მრეწველთა ყრილობა და მასზე ფიქრი სავალდებულო ყველასათვის, ვისაც ეს მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში შესამჩნევ და სასარგებლო საგნად მიაჩნია“.

მარგანეცის მრეწველთა მეხუთე ყრილობას ბევრი მტკივნეული და საჭირო საკითხი განუხილავს. მათ შორის აღსანიშნავია მარგანეცის მადნის ანალიზებისათვის ქიმიური ლაბორატორიის დაარსების საკითხი.

ქიმიური ლაბორატორიის დარსების თაობაზე მოხსენება თვით საბჭოს თავმჯდომარეს გ. ზდანოვიჩს გაუკეთებია. მას აღუნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქიმიური ლაბორატორიის დაარსებას არა მარტო მარგანეცის მრეწველობისათვის, არამედ მთელი გუბერნიისთანხების გამოყოფის შესახებ.

მას შემდეგ ექვსი ათეული წელი გავიდა. ახლა მარგანეცის ქიმიური ლაბორატორიები მადნის თითქმის ყველა გამამდიდრებელ ფაბრიკასთან არის. მძლავრი ქიმიური ლაბორატორიაა მადნის ხარისხების სახელმწიფო ინსპექციის ჰიათურის სამმართველოსთან, მარგანეცის მადნის საცდელ სადგურთან. იქ აკეთებენ მარგანეცის მადნის ზუსტ ანალიზებს, იკვლევენ მის ქიმიურ თვისებებს.

ამ ლაბორატორიებს და მათს თანამშრომლებს უფრო და უფრო ფართო ჰორიზონტები და პერსპექტივები ეხსნებათ. მათ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ კორ.

მადლობა საბჭოთა კავშირს

ალჟირი, 7 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ა. ტოკარევი იტყობინება: გუშინ ქალაქ ალჟირის ნავსადგურში და აეროდრომზე მოხდა ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა: გადაცემა 148 ტრაქტორისა და „ილ-18“ თვითმფრინავისა, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ძღვნად გამოუგზავნა მეგობარ ალჟირელ ხალხს.

„დარ ელ-ბეიდის“ აეროდრომზე თვითმფრინავის მისაღებად მოვიდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენ ბელა, ეროვნული თავდაცვის მინისტრი ბუმედიენი და ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრი ბელყასემ შერიფი. მათ დათვალიერეს პილოტთა კაბინა, სალონი. შემდეგ თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა და ბენ ბელამ თავის თანმხლებ პირებთან ერთად საპატიო წრე გააკეთეს აეროდრომზე.

ბენ ბელამ მადლობა გადაუხადა შემდეგ სსრ კავშირის ელჩს ალჟირში ა. ნ. აბრამოვს ამ საჩუქრისათვის და, კერძოდ, თქვა ეს აქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდება. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ აქტს. ამის გამო მადლობას ვუძღვნი ამხანაგ ხრუშჩოვს“.

იმავე საღამოს საბჭოთა გემ „ნამანგანზე“, რომელმაც ალჟირში ჩამოიტანა საბჭოთა ტრაქტორები, ავიდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი მახსასი, ალჟირის განვითარების ბანკის დირექტორი სმაილ მახრუეი და სხვა პირები. გემის დათვალიერების შემდეგ სტუმრების პატივსაცემად კაპიტანმა გამართა დარბაზობა.

გემიდან ჩამოსვლის წინ მახსასმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მთავრობას, აგრეთვე ყველა საბჭოთა ამხანაგს.



„ცოფიანთა“ ლიდერის პლატფორმა

ვაშინგტონი, 6 იანვარი. (საკდესი). ამერიკული რეაქციის ყველაზე თავგასული წარმომადგენელი, სენატორი არიზონის შტატისაგან ბარი გოლდუოტერი, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამართლიანად უწოდებენ „ცოფიანთა“ ლიდერს, გუშინ საღამოს გამოვიდა ტელევიზიით და გააკეთა საპროგრამო განცხადება. ეს სენატორის ასეთი ხასიათის პირველი გამოსვლაა მას შემდეგ, რაც 3 იანვარს განაცხადა, განზრახული მაქვს ვიბრძოლო ჩემი კანდიდატურა დაასახელონ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიისაგან.

გოლდუოტერის მიერ გამოცხადებული პროგრამიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ გავლენიან წრეებს არ მოსწონთ, რომ დაიწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება მას შემდეგ, რაც დიდი მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. მათ სურთ ყოველნაირად გაუტეხონ სახელი განსვენებული პრეზიდენტის კენედის რეალისტურ პოლიტიკას და ამერიკის შეერთებული შტატები დააყენონ საგარეოპოლიტიკური ავანტურების საშიშ გზაზე.

საბჭოთა კავშირის მიმართ ამერიკელ სენატორს განზრახული აქვს თავისი პოლიტიკა აწარმოოს შანტაჟისა და დაშინების მეთოდებით. გოლდუოტერმა განაცხადა, რომ სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მუქარას გამოიყენებს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს შედავების საშუალებად. იგი არწმუნებდა მსმენელებს, რომ საბჭოთა კავშირი „იძულებული გახდება ბევრი რამ იღონოს, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასეთი ნაბიჯი არ გადადგანო“.

მაგრამ გოლდუოტერი იქვე იძულებული იყო განეცხადებინა, რომ ასეთი პოზიცია არ ნიშნავს, თითქოს შეუძლებლად მიაჩნდეს ყოველი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან და ომის რისკს ეწეოდეს.

გოლდუოტერმა განაცხადა აგრეთვე, რომ იგი მხარს დაუჭერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან შეერთებული შტატების გამოსვლას იმ შემთხვევაში, თუ ამ ორგანიზაციაში მიიღებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

შემდეგ გოლდუოტერმა მოითხოვა განახორციელონ ავანტურისტული პოლიტიკა რევოლუციური კუბის წინააღმდეგ. იგი ომის თანახმაც კია, რომ მსოფლიო ატომური ომის პირას დააყენოს, ოღონდ კი ჩაახშოს კუბის რევოლუცია.

კვიპროსის მთავრობის გადაწყვეტილება

ნიკოზია, 7 იანვარი. (საკდესი). კვიპროსის მთავრობა დათანხმდა, რომ კუნძულზე გაიგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს ცეცლის შეწყვეტას.

ჰონდურასს — თვითმმართველობა

ლონდონი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ეუწყება, ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ბრიტანეთის ჰონდურასის პირველმა პრემიერ-მინისტრმა ჯორჯ პრაისმა დიდო ფიცი. ახალი კონსტიტუცია, რომელიც თვითმმართველობას აძლევს ჰონდურასს, ძალაში შევიდა 1964 წლიდან.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXV ყრილოგაზე

მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ო. ჩერქეზიამ** კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საახალგაზრდო მოხსენებაში აღნიშნა, რომ ორი წელი, რომელიც გავიდა კომკავშირის წინა ყრილობიდან, საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში აღინიშნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა (1962) და ნოემბრის (1962) პლენუმებმა შეიმუშავეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს წარმოების ორგანიზაცია როგორც მრეწველობასა და მშენებლობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები, და ბოლოს, დეკემბრის (1963) პლენუმმა დასახა ქიმიური მრეწველობის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანესი პირობის, დაჩქარებული განვითარების ღონისძიებანი.

პარტია თავის მუშაობაში სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს ყოველთვის განუურედად უკავშირებდა და უკავშირებს ხალხის აღზრდას კომუნიზმის მაღალი იდეალების სულისკვეთებით.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის გადაწყვეტილებებით, ასრულებენ მის დავალებებს, შეიქმნათ უაღრესად ხელსაყრელი პირობები და შესაძლებლობანი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისთვის. სწორედ კომუნიზმის მშენებლობის დიდ და კონკრეტულ საქმეებში იწრთობიან შეგნებულ მებრძოლებად, ნამდვილ კომუნისტებად ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები. ამის მკაფიო დადასტურებაა ათასობით წარმოების ახალგაზრდა მოწინავე, რომელთა შრომითი გმირობით ამაყობს ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ხალხი. ესენი არიან საქართველოს კომკავშირის რიტმულ მუშაობას, ბრძოლა რიტმულობისათვის დაიწყო თბილისის ახალგაზრდობის ინიციატივით, რომელიც მოიწონა სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობამ. ამ მოძრაობის დაწყებიდან გავიდა ორ წელზე მეტი და დღეს ჩვენ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ეს ბრძოლა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ღვიძლ საქმედ იქცა. რიტმულობისათვის მოძრაობაში ჩაება ათასობით ახალგაზრდა მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი, სპეციალისტთა სამეცნიერო-საწარმოო ბიუროებიდან, სკოსტრუქტორო და სამეურნეო ანალიზის ბიუროები. ჩვენი გალია კიდევ უფრო გავაძლიერეთ ბრძოლა საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის.

სიცხესა და სიცივეში, წვიმასა და ქარში, წელიწადის ყველა დროს და ყოველგვარ რთულ პირობებში ამენებენ ფაბრიკებსა და ქარხნებს, იმორჩილებენ მთის ბობოქარ მდინარეებს, ებრძვიან ზღვის ძლიერებას, ამშენებენ ჩვენს ქალაქებს ლამაზი და კეთილმოწყობილი სახლებით, კავკასიონის მრისხანე მთებში გაჰყავთ გზები და გაზსადენები, აშენებენ ვეგრაბებსა და ზატებს უაღრესად კეთილშობილური და საპატიო პროფესიის ადამიანები — მშენებლები. ოცი ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი შრომობს ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობებზე. სწორედ მათ ააშენეს რუსთავის კაპრილაქტამის საამქრო, მწყობრში ჩააყენეს ქიმიურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, ზედა რგანის მეორე რიგის და მერეკის მაღაროები, ამაშენეს ხრამჰესის ტურბინები. საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომკავშირმა რესპუბლიკის მშენებლობებზე გაგზავნა 4 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, სრულიად საკავშირო დამკვრელურ მშენებლობებზე კი — ათასზე მეტი. ჩვენი კომკავშირი შეფობდა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, სიონის წყალსაცავის, ხრამჰესის, ინგურჰესის, მადნეულის კომბინატის, ჭიათურის საკავშირო დამკვრელ მშენებლობებს. საჭიროა ჩვენმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გაუმჯობესონ მუშაობა მშენებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამხ. ჩერქეზიას ცენტრალური კომიტეტის სახელით შეაქვს წინადადება გაგრძელდეს შეფობა რუსთავის დიდი ქიმიისა და ქიმათურის მანგანუმის მრეწველობის საამშენებლო ობიექტებისა და ეგეურჰესის მშენებლობებისადმი. ეს მეტად პასუხსაგები ამოცანაა და მისი შესრულებისათვის საჭიროა მკვეთრად გაკუმჯობესოთ ჩვენი შეფობის ხარისხი, აღნიშნავს იგი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ღირსეულად შეასრულებენ ამ ამოცანას.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანი იყო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც პარტიამ დაგვისახა. სოფლის კომკავშირელებმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ბევრ დარგში. ჩვენმა საამაყო მეჩაიეებმა 1962 წელს მიაღწიეს შვიდწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევ მიზნას, „მარშან კი დიდად გადააჭარბეს ნაკისრ ვალდებულებებს და სამშობლოს მისცეს 186 ათასი ტონა მწვანე„ ოქრო". აქედან 120 ათასი ტონა ახალგაზრდობის ხელითაა მოკრეფილი. ეს მიღწევები განაპირობა ჩვენი მეჩაიეების თავდადებულმა შრომამ, მოწინავე მეთოდების შესწავლისა და პრაქტიკაში დანერგვის დიდმა სურვილმა, მეცნიერების უახლესი მონაპოვრების დაუფლებამ. ათასობით ახალგაზრდა მეჩაიე უკვე გაუტოლდა ჩაის კრეფის ისეთ სახელოვან ოსტატებს, როგორიც არიან ტატიანა ჩხაიძე, თამარ ყუფუნია, დარეჯან ტაკიძე, ტატიანა ტყებუჩავა და სხვები. ახალგაზრდა მეჩაიეებს შორის დაიბადა ბევრი ძვირფასი წამოწყება. ასეთია ნარა გოგატაძის ინიციატივა — დღეს მოვკრიფოთ მეტი ჩაი, ვიდრე გუშინ. ასეთია ეთერ ნიკოლაიშვილის ინიციატივა — აიუვანოს თავის დონემდე რგოლის ყველა წვერი. მიღწეულ წარმატებებს ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების კარგად ორგანიზებულმა სისტემამ, საწარმოო სამმართველოების კომკავშირის კომიტეტების მოქნილმა ხელმძღვანელობამ.

მაგრამ გვხვდებიან ისეთი მეურხეობებიც, სადაც ჩაის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა ჯერ კიდევ მცირეა. სამტრედიის, ცხაკაიას, ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოების კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად იბრძვიან ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის, ცუდად უვლიან მათ. პლანტაციების ნაწილი გაეჩხერებულია, დაავადებულია და იფარება სარეველა ბალახებით. კომკავშირის კომიტეტების ვალია გაადლიერონ ბრძოლა ჩაის ფოთლის დახაკრების თავიდან ასაცილებლად.

მეჩაიეებთან ერთად მოწინავეთა ავანგარდში არიან მეცატრუსეებიც, რომლებიც ყოველწლიურად მილიონობით ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს აწვდიან ჩვენი სამშობლოს მშრომელებს.

სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს შარშან ჩვენი რესპუბლიკის მხეილ-მოსკველებმა. მათ აწარმოეს 30 მილიონი ფუთი მარცვლეული, აქედან 12,5 მილიონი ფუთი მიეყიდა სახელმწიფოს. ცალილი წელი სოფლის კომკავშირელებისათვის იყო სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის წელი. სიმინდის კომკავშირულ-ახალგაზრდული ფართობების რაოდენობა შარშან წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა. ეს ახალგაზრდებმა მოსავლად 130 ათასი ჰექტარი სიმინდის ფართობი გაიპირველეს და საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი მოიწიეს. რესპუბლიკაში ბევრია ახალგაზრდა მესიმინდეები, რომელსაც ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოჰყავს. ამ დროს კი მთლიანად საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა მარცვლეულის საშალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების კომიტეტების გარკვეული ნაწილი გაცილებით მეტ დროს ახმარს სალოზუნგო ფრაზებსა და მოწოდებებს, ვიდრე კონკრეტულ ორგანიზატორულ მუშაობას. არის შემთხვევები, როცა მარცვლეულის ბევი სრულიადაც არ აწუხებთ მათ. ასეთ მდგომარეობას უნდა მოვუღოთ ბოლო.

ჩვენ დასახული გვაქვს მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდის ამოცანა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმაროონ ამ ამოცანის განსახორციელებლად. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდოთ ხელი მარცვლეულის წარმოების გადიდებას, რომ საქმით უპასუხონ უზბეკი ახალგაზრდობის თაოსნობას — სარწყავი ფართობების საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 80-100 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

უკანასკნელ ხანს პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. წინა წლებთან შედარებით დიდად გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. უეჭველია ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი შეიტანა იმ რვა ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, რომლებიც კომკავშირის გაწვევით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოვიდნენ ფერმებში. ახლა მეცხოველეობაში მუშაობს 16 ათასი ახალგაზრდა. მრავალი მათგანი თავდადებით შრომობს. მაგალითად, ჩვენი ყრილობის დელეგატია ყაზბეგელი ანზორ ჩქარეული. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ იგი დაბრუნდა შმობლიურ სოფელში და სათავეში ჩაუდგა მწყემსების ბრიგადას. ბრიგადაში 11 საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდაა. ისინი 1600 ცხვარს უვლიან და ყოველ ს ნერგზე ინარჩუნებენ 100 ბატკანს. მათ უარი თქვეს საკუთარ ცხვარზე და უვლიან კოლმეურნეობის ფარას. ბრიგადა იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის. ჩვენ კვლავაც უნდა დავაკომპლექტოთ ფერმები ახალგაზრდა კადრებით, ამასთან უნდა ვიბრძოლოთ ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

გასული წელი იყო მეტად არახელსაყრელი ჩვენი რესპუბლიკის მებაღეობა-მევენახეობისათვის. ზოგან არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო მოსავალი მთლიანად განადგურდა. ბევრ უფრო დიდი ამოცანები დგას ამჟამად ჩვენი ახალგაზრდა მებაღეებისა და მევენახეების წინაშე, რომლებმაც თელავში რესპუბლიკურ შეკრებაზე იკისრეს ვალდებულება შვიდწლედის ბოლოსათვის ვენახების ფართობი გაზარდონ 150 ათას ჰექტარამდე, ხეხილის ბაღებისა კი 155 ათას ჰექტარამდე, საშუალოდ ჰექტარზე მოიწიონ 65 ცენტნერი ყურძენი და 60 ცენტნერი ხილი. ჩვენს ახალგაზრდობას აქვს ყველა შესაძლებლობა შეასრულონ ეს ვალდებულებანი. საჭიროა მხოლოდ ზუსტად დავიცვათ ვენახისა და ხეხილის მოვლის აგროწესები.

ყოველგვარ ბუნებრივ პირობებში გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის უნდა განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა. სასარგებლო საქმის ინიციატორებად გამოვიდნენ ახალციხის საწარმოო სამმართველოს კომკავშირელები, რომლებმაც ითავეს შიდა სარწყავი სისტემის არხების აღდგენა და წესრიგზე მოყვანა. მათი ძალებით უკვე გაიწმინდა და საექსპლოატაციოდ მომზადდა წყობილებიდან გამოსული 42 კილომეტრი შიდა სარწყავი არხი. სამმართველოში სარწყავი სისტემის მოვლისათვის შექმნილია „კომკავშირული პროექტორის" რაზმები და საგუშაგოები. მაგრამ, ჩაზს უსვამს მომხსენებელი, რესპუბლიკის ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ გამოხმაურებია ახალციხელთა წამოწყებას. და ეს მაშინ, როცა ჩვენ შიდა სარწყავი სისტემის მოუვლელობით ვკარგავთ 4 ათასამდე ჰექტარ სარწყავ ფართობს. ასეთი მდგომარეობაა, კერძოდ, გორის, ბორდანის, გურჯაანისა და სხვა საწარმოო სამმართველოებში. ამ სამმართველოების კომკავშირულ ორგანიზაციათა მოვალეობაა უმოკლეს დროში სრულ წესრიგზე მოიყვანონ შიდა სამეურნეო სარწყავი არხების მთელი სისტემა.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული დოკუმენტები, პარტიის ახალი პროგრამა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, საფუძვლად დაედო რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას. ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური სიმწიფის უტყუარი მაჩვენებელია შემოქმედებითი, ნაყოფიერი შრომა რესპუბლიკის ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, ზატებსა და მაღაროებში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საპროექტო ინსტიტუტებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და გეოლოგიურ ექსპედიციებში, იქ, სადაც უშუალოდ იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამიტომ შრომითი აღზრდა კომუნისტური აღზრდის სული და გული, მოქალაქეობრივი სიმწიფისა და მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბების განუყოფელი ნაწილია.

კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა მოამზადონ ახალგაზრდობა შრომითი მოღვაწეობისათვის, ჩაუნერგონ მას შრომისადმი, როგორც პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილებისადმი, სიყვარული და პატივისცემა. საჭიროა ეს მუშაობა მიმდინარეობდეს განუწყვეტლივ, მიზანსწრაფულად ყველა ასაკისა და კატეგორიის ახალგაზრდობასთან. საჭიროა ბოლო მოვუღოთ მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არსებულ შემრიგებლურ დამოკიდებულებას უსაქმურობისა და მუქთახორებისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ამქლევნებენ შრომისადმი უპატივცემლობასა და ბატონაკაცურ დამოკიდებულებას. ჯერ კიდევ არიან ჩვენს რიგებში ისეთი ადამიანები, რომლებიც ადვილად ექცევიან ბურჟუაზიული პროპაგანდის დემაგოგიური გავლენის ქვეშ. ესენი არიან ადამიანები, რომლებ-სთვისაც მიუწვდომელია საბჭოთა სამშობლოს წინსვლით გამოწვეული სიამაყე, რომლებიც ელტვიან უგემოვნო მოდურს, ყოველგვარ უცხურს. ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ხულიგნობენ, ლოთობენ, ქურდობენ, უდიერად ირღვევენ საზოგადოებრივი საერთო ცხოვრების წესებს. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა ახორციელებდნენ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რომ ასეთი გამოვლინებანი საბოლოოდ აღმოიფხვრას ჩვენი ახალგაზრდობისა და კომკავშირელების რიგებში. აუცილებელია, რომ ყველა ქალაქში, დაბასა და სოფელში სწორად, მოფიქრებულად მოეწყოს ახალგაზრდობის დასვენება. უნდა შეიქმნას დაუნდობლობის ატმოსფერი იმათ მიმართ, ვისაც არ სურს შრომა, უნდა ამაღლდეს სახალხო რაზმეულების ბრძოლისუნარიანობა, კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წესრიგის ყოველი დარღვევის აღმოფხვრისათვის.

წარსულის მავნე, გადმონაშთებიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი გამძლე გამოვლინება რელიგიური ცრურწმენა. ათეისტური პროპაგანდა ზრიზად რჩებათ მხედველობიდან კომკავშირულ ორგანიზაციებს; ამვიათად ხოროცელებს სათანადო ღონისძიებები, მორწმუნეებთან ინდივიდუალური მუშაობა, მოისუსტებს ლენინური პროპაგანდა. საჭიროა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი აქტივობა გამოიჩინონ წარსულის ამ მავნე გადმონაშთის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, განსაკრძობს ამხ. ჩერქეზია, უდიდეს როლს ასრულებს ლიტერატურა და ხელოვნება. ისინი ეხმარებიან ახალგაზრდა ადამიანს იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში, აქტიურად უწყობენ ხელს მისი მორალური სახისა და მოქალაქეობრივი იდეალების ჩამოყალიბებას. ამ მაღალი მიზნების სამსახურში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. აღსანიშნავია ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის შრომა, რომელიც ღირსეულად განაგრძობს წინამორბედთა საუკეთესო ტრადიციებს და თავის შემოქმედებას ხალხის სამსახურს უძღვნის. მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა — ნოდარ დუმბაძემ, თამაზ ჭილაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, არჩილ სულკანიშვილმა, ოთარ ჭილაძემ, ოტია იოსელიანმა, მხატვრებმა და მოქანდაკეებმა — დინარა ნოდიამ, მერაბ მერაბიშვილმა, გოგი თოთობაძემ, გურამ გელოვანმა, კომპოზიტორებმა — ბიძინა კვერნაძემ, ოთარ გორდელმა, სულხან ნასიძემ, ვაჟა აზარაშვილმა, გია ყანჩელმა, ნუგზარ ვაწაძემ, კინორეჟისორებმა — ელდარ შენგელაიამ, თამაზ მელიავამ და ბევრმა სხვამ.

ჩვენს ეპოქაში, როცა ესთეტიკა იქცა მკვეთრი იდეური ბრძოლის ასპარეზად, მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ შემოქმედებით ახალგაზრდობას, დროულად დავუჭიროთ მხარი მის წარმატებებს, ამავე დროს პრინციპიულად და პირუთვნელად შევაფასოთ მისი, თუნდაც უმცირესი შეცდომები.

კომკავშირის ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა მოამზადოს ახალგაზრდობა საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის. საანგარიშო პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციები მეტ დაინტერესებას იჩენდნენ ამ საქმეში. ჩვენს ახალგაზრდობას საბჭოთა არმიის მებრძოლებთან აქვს მტკიცე მეგობრული კავშირი—მოსავლის აღებისას ერთად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებში, მონაწილეობენ მშენებლობებზე მოწყობილ შაბათობებში, ერთად აწყობენ სპორტულ შეჯიბრებებსა და კულტმასობრივ ღონისძიებებს. მტკიცე მეგობრობა აკავშირებს სასაზღვრო რაიონების ახალგაზრდობასა და ჩვენს სახელოვან შესაზღვრეებს. ჩვენი სამშობლოს საზღვრების დასაცავად მათ მიერ გაწეულმა მუშაობამ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების მთავარი პოლიტსამმართველოს უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. აჭარის კომკავშირი გახდა გარდამავალი წითელი დროშის პირველი მფლობელი.

საანგარიშო პერიოდში, ამბობს ამხ. ჩერქეზია, ისევე როგორც მთელი მოღვაწეობის მანძილზე, საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები განუწყვეტლივ გრძნობდნენ კომუნისტური პარტიის ყოველდღიურ ზრუნვასა და მხარდაჭერას. პარტია ასწავლიდა კომკავშირს, უნერგავდა ფართო შემოქმედებითი ინიციატივის გრძნობას და უზრუნველყოფდა ამ ინიციატივის გაშლის ყველა შესაძლებლობას. სწორედ ეს ყურადღება გვმატებს ძალასა და ენერგიას, სწორედ ეს დამოკიდებულება არის ჩვენი წარმატების წყარო და საფუძველი.

ამიტომ დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენი ახალგაზრდობის მთელი ყურადღება მიპყრობილია მშობლიური კომუნისტური პარტიისაკენ, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისაკენ. მშრომელი ახალგაზრდობა მტკიცე რწმენით ირაზმება სახელოვანი წინამძღოლისა და ნაცადი ხელმძღვანელის გარშემო, მზადაა შეასრულოს მისი ყოველგვარი დავალება და დაამტკიცოს კომუნიზმის საქმისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულება.

დასასრულ ამბ. ჩერქეზია საქართველოს კომკავშირის მრავალრიცხოვანი არმიის სახელით პირობას აძლევს შმობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომკავშირი რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობა ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის, რომ იგი ყოველთვის იმუშავებს იმ დიადი ლამპრობის რთულ უბნებზე, სადაც მოუხმობს კაცობრიობის ნათელი მომავლის მშენებელი სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზა და ხალხის სამსახურის უერთგულესი თავდადება.

ყრილობამ მოიისმინა საქართველოს კომკავშირის სარევიზორო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ჯ. ე. ბაკურიამ.**

ბოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. მისი მონაწილენი ლაპარაკობდნენ იმ ამოცანებზე, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს ლენინურ კომკავშირს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, აცხადებდნენ, რომ მზად არიან კვლავაც განუხრელად შეასრულონ პარტიის ყოველი მითითება კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. მათ შეტანეს ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას. დელეგატები გაბედულად აკრიტიკებდნენ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ნაკლოვანებებს, სახავდნენ ღონისძიებებს მათ გამოსასწორებლად.

სიტყვა ეძლეკა საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველ მდივანს **ს. ე. ხაბეიშვილს.** იგი ამბობს: თბილისის კომკავშირი — საქართველოს ლენინური კომკავშირის მებრძოლი რაზმი — დიდ წარმატებებს აღწევს პარტიის დასახულთაბა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ქალაქში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. 24 დეკემბერს უკვე შესრულებული იყო 1963 წლის სახელმწიფო დავალება. ამაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა, კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ ბრძოლის ავანგარდში დგანან კომკავშირელები. ესენი არიან გურამ ჯახუტაშვილი ქარხანა „ელექტროავტომატში", ომარ ჭელიძე კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, ნინო პანკოვა კოტონის წინდების ფაბრიკაში, ვერა სობოლევა კამვოლ-მაუდის კომბინატში, ციცინო ცერცვაძე ქარხანა „ელექტროგამშვებში", ლერი ჯიბლაძე ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში და მრავალი სხვა, რომელთა ენერგიული შრომით დაზოგილია 3,5 მილიონ მანეთზე მეტი. ყრილობის წინა დღეებში საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობა გამოეხმაურა ლენინის რაიონის კომკავშირელთა ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებდა ამას, რომ ყრილობის გახსნის დღისათვის რაიონში არ ყოფილიყო არც ერთი ჩამორჩენილი კომკავშირელი მუშა. თბილისის კომკავშირელებმა თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულეს. შემდეგ ამხანაგი ხაბეიშვილი ლაპარაკობს აგრეთვე იმაზე, თუ როგორ განვითარდა კომკავშირული მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისები, იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადაჭრან დედაქალაქის ახალგაზრდებმა დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

აჭარის კომკავშირელთა საქმიანობას შეეხო თავის გამოსვლაში აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ჰ. ნ. ჭაჯაია.** მან აღნიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობამ დიდი სამეურნეო წარმატებები მოიპოვა შარშან. უკვე 20 დეკემბრისათვის 450-ზე მეტმა ახალგაზრდამ უპატაჯა სამშობლოს წლიური გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებათა ვადამდე შესრულება. კომკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილი „კომკავშირული პროექტორი" ამხარებს სამეურნეო მუშაობაში შემჩნეულ ყველა ნაკლს, იბრძვის მათ აღმოსაფხვრელად. ორატორმა თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო იმ ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დაუსახა მთელ ჩვენ ხალხს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დარგში. დეკემბრის პლენუმის შემდეგ, აღნიშნავს იგი, აჭარის ახალგაზრდობამ გამოიჩინა შესანიშნავი ინიციატივა—ვადაეაქციონ აჭარა რუსთავის შემდეგ დიდი ქიმიის მეორე ცენტრად საქართველოში. ამის ბაზა აჭარაში მოიპოვება. ესაა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, მხატვრულ ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო შხამქიმიკატებს და სხვა ქიმიური საწარმოები.

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ლ. ნ. ჯიბლაძემ,** ყვარლის საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **შ. ვ. კაპანაძემ,** საჩხერის საწარმოო სამმართველოს ტრაქტორისტმა **ნ. ს. კაპანაძემ** ილაპარაკეს კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებსა და მოვალეობებზე სკკპ XXII ყრილობისა და 1963 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ახალგაზრდობისა და მთელი საზოგადოებრიობის როლი მომავლის მშენებელი ადამიანის აღზრდის საქმეში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკაში სრულიად აღმოიფხვრას საზოგადოებრივი საერთო ცხოვრების წესების დარღვევის შემთხვევები, საჭიროა გაძლიერდეს სახალხო რაზმეულთა მუშაობა.

აფხაზეთის ჭაბუკები და ქალიშვილები ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევენ ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის შექმნაში. ყველგან, სადაც უნდა მიხვიდეთ — საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და სამშენებლო მოედნებზე, შეხვდებით ჩვენს სახელოვან ახალგაზრდებს. კომკავშირელებს, რომლებიც კომუნისტების მეჩვენობის ავანგარდში იარიან. კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალებით მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 21 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 18 ათასი ტონისა. კომკავშირული ორგანიზაციები სულ უფრო ეფექტიანად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ეუფლებიან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ამაზე ილაპარაკა საქართველოს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ა. ზ. ზაქარიამ.** მან აღნიშნა აგრეთვე ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციებს მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმეში. ჩვენ, ამბობს ორატორი, ყოველ ღონეს ვხმარობთ მდგომარეობის გამოსწორებლად. უკვე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნილია მექანიზატორთა მოსამზადებელი კურსები, საწარმოო სწავლების სკოლებში შემოღებულია მექანიზაციის სწავლა.

დიდია ლიტერატურისა და ხელოვნების როლი კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მწერლები და ხელოვნების მუშაკები. მათი შემოქმედება უშუალოდ ჩვენი ხალხის ცხოვრებას უკავშირდება და გამოხატავს ხალხის ინტერესებს. ახალგაზრდა ქართველ ხელოვნების მუშაკებს, აღნიშნავს პოეტი **თ. ი. ჭილაძე,** ამოძრავებს და შთააგონებს სამშობლოს სიყვარული, ჩვენი შშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. მათ არ ავიწყდებათ, რომ ფიქრი დღეკანდელი მკითხველი ძალიან განვითარებულია და მისი ინტერესები ადამიანის ცოდნის მრავალ მხარეს სწვდება. ისინი თავიანთ შემოქმედებაში სულ უფრო ნათლად ასახავენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლის მჩქეფარე ცხოვრებას. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მოისუსტებს ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომ აღმავლობასა და განვითარებას.

ყრილობის მონაწილეებს შრომითი გამოცდილება გაუზიარეს სამტრედიის საწარმოო სამმართველოს ახალგაზრდა მეჩაიემ **დ. ი. წივწივაძემ,** ქობულეთის საწარმოო სამმართველოს მეციტრუსემ **ლ. ა. შეიმარდანოვამ,** თელავის საწარმოო სამმართველოს მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირმა **გ. გ. შათირიშვილმა,** გუდაუთის საწარმოო სამმართველოს მოწინავე მეჩაიემ **ი. მ. აჩიტნბამ.**

საქართველოს კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ა. სანაკოევმა** ილაპარაკა ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობაზე შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ

პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას!

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე ილაპარაკა სრულიად საკავშირო ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ **ამხ. შ. ი. ჭანუყვაძემ.**

ყირიმბაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ამხ. ბ. ტორსუევი.**

ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. შ. ი. ჭანუყვაძე მხურვალედ მიესალმება საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობის დელეგატებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შრომლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ამენებენ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას.

ჩვენი პარტია, ამბობს ამხ. ჭანუყვაძე, ყოველთვის ამაყობდა და ამაყობს ლენინური კომკავშირით, საბჭოთა ახალგაზრდობით, რომლებმაც არაერთხელ გამოიჩინეს თავი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო ბრძოლაში. პარტიის ეს დიდი აღიარება და შამობრივი სიყვარული კომკავშირმა, ჩვენმა ახალგაზრდობამ მოიპოვეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულებითა და ჭეშმარიტად გმირული საქმეებით, თავისი მზადყოფნით — ღირსეულად შეასრულონ კომუნისტური პარტიის ყველა დავალება.

საბჭოთა ხალხს კარგად ახსოვს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა და მამაცობა გამოიჩინა ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ. ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებად შევიდა კომკავშირისა თუ საბჭოთა ახალგაზრდობის უკვდავი საგმირო საქმეები ლენინურმა კომკავშირმა, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა თავიანთი ახალგაზრდული შემართება და ენთუზიაზმი მოლიანად მოახმარეს საბჭოთა ხუთწლედების, დიადი შვიდწლედის გიგანტური გეგმების სასახელოდ შესრულებას. ჩვენმა ახალგაზრდობამ, კომკავშირის თაოსნობით, სიცოცხლე დაამკვიდრა ყამირის უდაბნო მიწებზე, ხალხის სამსახურში ჩაყარა მილიონობით ჰექტარი მიწა.

ლენინურმა კომკავშირმა თავის ღვიძლ საქმედ მიიჩნია კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა. მთელ ჩვენს ხალხთან ერთად კომკავშირი თავდადებით იბრძვის პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ერთხელ კიდევ მაღალი შეფასება მისცა ლენინური კომკავშირის მრავალმხრივ მოღვაწეობას და იმედი გამოთქვა, რომ იგი მისთვის ჩვეული აქტივობით ჩაებმება ქიმიური იდუსტრიის განვითარებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. კომკავშირი მხურვალედ გამოეხმაურა ამ საპროგრამო მოწოდებას და თავდადებული შრომა გააჩაღა დიდი ქიმიის შესაქმნელად.

საქართველოს კომკავშირის ყრილობა, განაგრძობს ამხ. ჭანუყვაძე, იმ ღირსშესანიშნავ დღეებში შეიკრება, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია დიდი შემქმედებითი შრომა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამ პლენუმმა განსაზღვრა ქიმიური მრეწველობის განვითარების ძირითადი ამოცანები ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს მშრომელებს სრული უფლება აქვთ იამაყონ იმ დიდი წვლილით, რომელიც მათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო ბრძოლაში შეიტანეს შარშან. რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებულ დიდ წარმატებებში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სახელოვან ახალგაზრდობას, მის მებრძოლ ავანგარდს — ლენინურ კომკავშირს, კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და საიმედო დასაყრდენს.

დიდი აღმავლობის გზაზეა საქართველოს მრეწველობა. დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასახელო შრომითი გამარჯვება მოიპოვეს რუსთავის ქიმიური საწარმოების მშენებლებმა და ქიმკოსებმა. მათ მწყობრში ჩააყენეს ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრეები და სამშობლოს უპატაკეს ქართული კაპროლაქტამის დაბადება, რისთვისაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითადი მილოცვა დაიმსახურეს.

განუხრელი აღმავლობის გზით მიდის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. თავდადებული შრომით გაახარეს პარტია და სამშობლო ჩვენმა მეჩაიეებმა. მათ შარშან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ამით 16 ათასი ტონით გადააჭარბეს შვიდწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევ დავალებას.

1963 წელს მკაცრმა ზამთარმა, ხოლო შემდეგ დიდმა გვალვებმა დაუზარალეს საბჭოთა კავშირის ზოგი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რამაც ერთგვარი სიძნელეები შექმნა მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების საქმეში. ამ დრამატიკა სიძნელეების ვითარებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე და ღირსეული წვლილი შეიტანეს მარცვლეულის წარმოების საქმეში.

რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 12,5 მილიონამდა ფუთი მარცვლეული. საქართველოს მშრომელებს წინათ არასოდეს არ ჩაუბარებიათ ამდენი მარცვალი სახელმწიფოსათვის. ჩვენი მეჩაიეებისა და მემანდარეების მამაცურმა შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჯერ მეჩაიეებს, შემდეგ კი მემანდარეებს, მათი სახით კი საქართველოს ყველა მშრომელს გულითადად მიულოცეს დიდი საწარმოო გამარჯვება ჩაისა და მარცვლეულის ფრონტზე. ამ მილოცვების პასუხად რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. მხვნელ-მთესველების ვალია 1964 წელს აწარმოონ 900 ათასი ტონა და სახელმწიფოს მიჰყიდონ 220 ათასი ტონა მარცვლეული, ხოლო 1965 წელს აწარმოონ მილიონი ტონა და სახელმწიფოს მიჰყიდონ 245 ათასი ტონა მარცვლეული.

ამ დიდ და პასუხსაგებ ამოცანის გადაჭრაში, ხაზს უსვამს ამხ. ჭანუყვაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ რესპუბლიკის კომკავშირელებმა, სოფლის მთელმა ახალგაზრდობამ. მარცვლეულის წარმოების გადიდებას დიდად შეუწყობს ხელს ზემო ალაზნის არხის აგება, რომელიც წყლით გაალღებს შირაქის ველს და იქ ყოველწლიურად უხვი, გარანტირებული მოსავლის მიღების ყველა პირობას შექმნის.

ამრიგად, ფრთებს ისხამს ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით დაიწყო და წელს დამთავრდება ზემო ალაზნის არხის საპროექტო სამუშაოები, 1965 წლიდან კი მთელი ძალით გაჩაღდება არხის მშენებლობა, რომელიც, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ნამდვილად საყოველთაო სახალხო მშენებლობად გადაიქცევა. საქართველოს კომკავშირის სახელისა და ღირსების საქმეა იყოს ალაზნის არხის მშენებელთა პირველ რიგებში, ამ დიდი საშვილიშვილო საქმის სული და გული.

შემდეგ ამხ. ჭანუყვაძე ეხება იდეოლოგიური აღზრდის ამოცანებს და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება იდეური წუნი. მართალია უკანასკნელ დროს ახალგაზრდობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ამით თავის დამშვიდება შეცდომა იქნებოდა. ჯერ კიდევ დიდია ახალგაზრდობას შორის წესრიგის დარღვევის შემთხვევები. წესრიგის დამრღვევთა დიდი რაოდენობა მოსწავლე ახალგაზრდობაზე მოდის. აქედან ჯერ-ოვანი დასკვნები უნდა გამოიტანონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკებმა, რომლებიც მოწოდებული არიან პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ხულიგნებსა და ბოროტმოქმედებს, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ სახოგადოებრივი წესრიგის დაცვა და განმტკიცება.

ახალგაზრდობის აღზრდა დიდ ხელოვნებას და სათუთ მიდგომას მოითხოვს. კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ მუშაობას და პირადი მაგალითის ჩვენებით ძირშივე აღკვეთონ ხულიგნურ და დანაშაულებრივ მოქმედებათა გამოვლინების ყოველი ცდა. საჭიროა ახალგაზრდობასთან იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებული იდგილი დაეთმოს მოზარდი თაობის აღზრდას კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე.

ახალგაზრდობამ უფროსი თაობისაგან უნდა ისწავლოს პარტიის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულება, მაღალი იდეურობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, სიმტკიცე ბრძოლაში, სიყვარული სწავლასა და შრომაში.

კომუნიზმი და შრომა განუყოფელია. ახალგაზრდობაში საზოგადოებრივად სასესარგებლო შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა კომკავშირის ყველაზე მთავარი ამოცანაა. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი სასოფლო კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ცუდად ასრულებს ამ ამოცანას. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში დიდია ახალგაზრდობის რიცხვი, რომლებიც არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ შრომაში.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, სოფლის კომკავშირელებმა დიდი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა უნდა გააჩაღონ იმისათვის, რომ სოფლის მთელი ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდეს საკოლმეურნეო შრომაში.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდი თაობის აღზრდას, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას. ამ მნიშვნელოვან საქმეში უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების კომკავშირული ორგანიზაციები პარტიის პირველი თანაშემწენი უნდა იყვნენ. მაგრამ ბევრგან ასე როდია. ამით აიხსნება ის, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობა. ეს შეუწყარებელია. კომკავშირმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სწავლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, ხმარობდეს ღონეს აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტებისა და მოსწავლეების დასახმარებლად, დაუცხრომლად ზრუნავდეს ამისათვის, რომ ყოველ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სანიმუშოდ იყოს დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და უმჯობესდებოდეს სწავლების ხარისხი.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის, ხაზს უსვამს ამხ. ჭანუყვაძე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას. ხილის, ყურძნის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, დაფნის ფოთლისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტის წარმოებასა და დამზადებაში ჯერ კიდევ დიდია პირადი მეურნეობის ხვედრითი წონა. იგი 30-დან 60 პროცენტს შეადგენს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დასახეს ღონისძიებანი ვენახების, ხეხილის ბაღების, დაფნის, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობისა და მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის. ეს ღონისძიებანი ითვალისწინებენ 1964-1965 წლებში 41 ათასი ჰექტარი ვენახის გაშენებას, რის შედეგადაც შვიდწლედის დასასრულს ვენახის ფართობი 150 ათას ჰექტარს მიაღწევს. ამავე დროისათვის ხეხილის ბაღების საერთო ფართობი გაიზრდება 155 ათას ჰექტარამდე. მნიშვნელოვნად გადიდდება აგრეთვე ჩაის, ციტრუსების, დაფნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო ფართობი და მოსავლიანობა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ სოფლის კომკავშირელებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდებმა. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ვენახებისა და ხეხილის ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის გაშლილ ბრძოლაში.

ჯერ კიდევ 1960 წელს საქართველოს კომკავშირის 23-ე ყრილობამ მოიწონა გორის, გურჯაანისა და თელავის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით დაწყებული სოფლის კომკავშირელთა ლაშქრობა ბაღებისა და ვენახების სიმეჩხრის უახლოეს ორ-სამ წელიწადში ლიკვიდაციისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, არა თუ ყველა სოფლის, არამედ ის კომკავშირული ორგანიზაციები და მათი ადგილობრივი კომიტეტებიც კი, რომლებიც ამ კარგი თაოსნობის ინიციატორები იყვნენ, სათავეში არ ჩაუდგნენ ლაშქრობას მეჩხერიანობის აღმოსაფხვრელად. ყრილობის დადგენილებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად მალე დავიწყებას მიეცა ნაკლური ვალდებულება. ეს კი დიდ ზიანს აყენებს თვით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ვფიქრობთ, კომკავშირი ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანს და განახორციელებს ღონისძიებებს ვენახებსა და ხეხილის ბაღებში უახლოესი ორი წლის განმავლობაში სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად. ამით კომკავშირი დიდ და სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

დაიწყო ახალი სამეურნეო წელი — შვიდწლედის მეექვსე წელი. კიდევ უფრო დიდი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. 1964 წელს საქართველოს მრეწველობამ შარშანდელთან შედარებით 4,3 პროცენტით უნდა გაადიდოს საერთო პროდუქციის გამოშვება და 2 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება. მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგება ახალი საწარმოო სიმძლავრეები, ახალი ქიმიური ქარხნები.

ძალაღი მიჯნებია დასახული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. საქართველოს კოლმეურნეობებმა და სახელმწიფოს მეურნეობებმა 1964 წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 20 ათასი ტონა მარცვლეული, 190 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 15 ათასი ტონა ყურძენი, 130 ათასი ტონა ხილი, 45 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 120 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 90 ათასი ტონა ბოსტნეული, 55 ათასი ტონა ხორცი, 150 ათასი ტონა რძე და სხვა პროდუქტები.

მთელი ჩვენი ძალები უნდა დავრაზმოთ, რათა შვიდწლედის მეექვსე წლის ამ მაღალ მიჯნებს წარმატებით მივაღწიოთ. საჭიროა ყველგან, ქალაქად და სოფლად, ახალი ძალითა და შრომითი ენთუზიაზმით გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის. და გვჯერა ეს ასეც იქნება. საქართველოს კომკავშირელები, ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმული თავიანთი ბრძენი მასწავლებლისა და აღმზრდელის — შშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კვლავაც ახალი შრომითი წარმატებებით გაახარებენ საყვარელ სამშობლოს.

დასასრულ ამხანაგი ჭანუყვაძე გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს კომკავშირი — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, და მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ახალგაზრდობა ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის დიდ საქმეში.

* * *

საქართველოს ალკკ XXV ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა ამოცანები ეკისრება რესპუბლიკის კომკავშირს სკკპ XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში, დასახულია კომკავშირულ ორგანიზაციათა მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების გზები.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კომკავშირი და მთელი ახალგაზრდობა მზად არიან კვლავაც განუხრელად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის ყოველი მითითება, რომელთა მიზანია კომუნიზმის დაჩქარებული მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. (საქდესი).

საერთაშორისო
მეკავშირეთა ყველანაირი ერთიანობა
ცხოვრება

მტკიცდება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა

დელი, 7 იანვარი. (საქდესი). ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განვითარება ჩვენი საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა, განაცხადა ინდოეთის ყოფილმა ელჩმა საბჭოთა კავშირში ჯ. პ. მენონმა, რომელმაც გახსნა კონფერენცია სამხრეთ ინდოეთის ქალაქ ერნაკულამში. ეს კონფერენცია მიეძღვნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საკითხებს. მე სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა ყოველთვის მომაჩნდა არა მარტო მშვიდობიანი, არამედ ნაყოფიერი თანამშრომლობის მკაფიო მაგალითად, თქვა მან. მენონმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. ნერუს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხუროთმოძღვრები უწოდა.

რეზოლუციაში, რომელიც კონფერენციამ მიიღო, გამოთქმულია უდიდესი კმაყოფილება იმის გამო, რომ დაიდო მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ. ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება ინდოეთისათვის ამჟამად ეროვნულ აუცილებლობად გადაიქცა, ნათქვამია მეორე რეზოლუციაში. კონფერენციის მონაწილეთა სახელზე მოვიდა ჯ. ნერუს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია რწმენა, რომ კონფერენცია ხელს შეუწყობს ინდოეთისა და სსრ კავშირის კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას.

კაჭასტროფა ბელგრადთან

ბელგრადი, 5 იანვარი. (საქდესი). რაკოვიცის (ბელგრადის გარეუბანი) ახლოს რკინიგზის კატასტროფის შედეგად 61 კაცი დაიღუპა და 162 კაცი დაიჭრა, იუწყება ტანიუგის საააგენტო. კატასტროფა მოხდა იმის გამო, რომ შორი მიმოსვლის სამგზავრო მატარებელი ბოლოლდნელად გაჩერდა და მას მთელი სისწრაფით დაეჯახა ადგილობრივი სამგზავრო მატარებელი, რომელიც აგრეთვე ბელგრადში მიდიოდა.

სხვადასხვა მეერიდიანზე

□ **საფრანგეთის** დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრ „კინოპანორამაში“ გაიმართა საბჭოთა პანორამული ფილმის „ცმა მსახიობის“ პრემიერა. მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა ფილმი.

□ **მანილაში** ჩავიდა ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო. მას განზრახული აქვს ფილიპინების პრეზიდენტ მაგაპაგალთან ერთად განიხილოს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცების საკითხი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობა.

□ **გასული** წლის ოქტომბერში ინგლისის გზებზე საავტომობილო კატასტროფების შედეგად 700-ზე მეტი კაცი დაიღუპა და 8.195 კაცი სერიოზულად დაშავდა. ტრანსპორტის სამინისტროს მონაცემებით ეს ციფრები 9-10 პროცენტით უფრო დიდია, ვიდრე 1962 წლის ოქტომბერში. (საქდესი).

გონივრული პოლიტიკა გაიმარჯვებს

ვაშინგტონი, 7 იანვარი. საქდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იტყობინება: საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებამ, რომ უარი ითქვას ძალის გამოყენებაზე სახელმწიფოთა შორის ტერიტორიულ დავაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის საზოგადოებრივობაზე და სამართლიანად მიანჩიათ საბჭოთა კავშირის ახალ დიდმნიშვნელოვან სამშვიდობო ინიციატივად.

ვაშინგტონის ოფიციალური წრეების პირველი გამოხმაურება, როგორც ცნობილია, საკმაოდ თავშეკავებული იყო. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა საბჭოთა წინადადებებს „იმედის გამაცრუებელი“ უწოდა და ამტკიცებდა, თითქოს ამ წინადადებებში „არაობიექტურად იყოს ჩამოყალიბებული პრობლემები“.

ამასთანავე სახელმწიფო დეპარტამენტმა ვერ გაბედა „უარეყო“ საბჭოთა წინადადებანი. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადეს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი წერილში შეეხო მთელ რიგ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შეეხება სხვა ქვეყნებისა და შეერთებული შტატების ინტერესებს. სანამ პასუხს გასცემდნენ საბჭოთა წინადადებებს, აღნიშნეს მათ, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ეთათბირონ თავიანთ მოკავშირეებს. მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ საბჭოთა წინადადებებს აუარადლებით შეისწავლიან და რომ შეერთებული შტატები, როგორც ჩანს, შეეცდებიან გამოიყენონ ზოგიერთი საბჭოთა წინადადება საკუთარ კონტრწინადადებათა წამოსაყენებლად.

ამერიკის პრესა, რომელიც ვაშინგტონის ოფიციალური წრეების გავლენას განიცდის, ცდილობს წარმოსახოს საბჭოთა წინადადებანი როგორც „ცალმხრივი“ წინადადებანი, რომლებიც თითქოს ხელსაყრელია მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის და არ არის ხელსაყრელი დასავლეთისათვის. ბევრს აქ არ მოსწონს რომ წინადადებანი შეეხება ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის გერმანიის, კორეის, ვიეტნამის გაერთიანება, ამერიკის ჯარების მიერ ტაივანის უკანონო ოკუპაცია, სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვათა ტერიტორიაზე.

მიუხედავად ამისა შეერთებულ შტატებში არ შეუძლიათ არ აღიარონ, რომ საბჭოთა წინადადებანი ნაკარნახევია მშვიდობის ინტერესებით.

„გვერდს უვლის არ ნეგატიურ ასპექტებს, — აცხადებს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, — ხრუშჩოვის წერილი მიუხედავად ამისა ადასტურებს, რომ პრეზიერი ხრუშჩოვი იბრძვის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ მას კვლავ და კვლავ მტკიცედ სწამს, რომ აბსოლუტურად მიუღებელია თერმოატომური ომი. ძალიან კარგია, მისი კიდევ ერთი განცხადება, რომ შეშფოთებულია იმასთან დაკავშირებით, რომ თუნდაც პატარა ომს შეიძლება მოჰყვეს დიდი ომი“. „შეერთებული შტატები და სხვა ქვეყნები, აღნიშნავს შემდეგ „ვაშინგტონ პოსტი“, შეიძლება დაეთანხმონ მის მთავარ თეზისს, რომ თვით თერმოატომური ომის იდეა სიგიჟეა“.

ლონდონი. „ახურვალედ მივესალმები ბ-ნ ხრუშჩოვის წერილს მსოფლიოს ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისადმი“, — განუცხადა პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა ფრენკ ოლაუნმა საკდესის კორესპონდენტს. ეს წერილი მოწმობს, რომ საბჭოთა მთავრობა აპირებს განაგრძოს 1964 წელს მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უკვე დაიწყო 1963 წელს. „ბ-ნი ხრუშჩოვი მართალია, როცა აცხადებს, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა მოვალეობა განსაორიელონ კიდევ უფრო რადიკალური ღონისძიებანი, რომლებიც აღმოფხვრიან ახალი ომის საშიშროებას“.

საზღვარგარეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის გამო

ატომური ომი. ...ფრთხეს. სწორედ ასეთი რადიკალური ნაბიჯი იყო და მთელი მსოფლიოსათვის შესანიშნავი მაგალითია ის, რომ საბჭოთა კავშირმა სამხედრო ხარჯები შეამცირა 240 მილიონი გირვანქა სტერლინგით (600 მილიონი მანეთი. — რედ.)“.

პარიზი. „1964 წლის პირველი ქმედითი აქტი, რომლის განხორციელება იხსნის მშვიდობას, რაც ყველაფერზე ძვირფასია ადამიანებისათვის“ — ასე შეაფასა ფრანგმა მწერალმა ფლორიმონ ბონტემ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებისადმი. განხორციელება საბჭოთა მთავრობის წინადადებისა, რომ არ გამოიყენონ ძალა სადავო პრობლემების გადასაჭრელად. თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფლორიმონ ბონტემ, უეჭველია, შეამცირებს სახელმწიფოთა შორის უთანხმოების მიზეზებს, მნიშვნელოვნად შეამცირებს დაძაბულობის საშიში კერების რიცხვს დედამიწაზე, განამტკიცებს ურთიერთნდობას ყველა მთავრობას, ყველა ქვეყანასა და ყველა სახელმწიფოს შორის. ფრანგმა ხალხმა მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივა, და მოითხოვს საფრანგეთის მთავრობისაგან დადებითად უპასუხოს ამ შთამაგონებელ მოწოდებას საღი აზრისა და გონებისადმი.

ინგლისელი ...ინგლისელი კაპიტალისტები ცდილობენ „გაყინონ“ ხელფასი არსებულ დონეზე, თუმცა საქონლის ფასები განუწყვეტლივ იზრდება.

(გაზეთებიდან).

„ანტიფრიზი“ — ნივთიერებაა, რომელიც იცავს გაყინვისა და მოყინვისაგან. (ტექნიკური ცნობარიდან).

ინგლისელი მუშა — ადმინისტრაციის წარმომადგენელს სთავაზობს ჭიქა ანტიფრიზს.

— ხომ არ ინებებთ მიირთვათ ეს ჭიქა სასმელი ხელფასის შესახებ მოლაპარაკების დაწყების წინ?

კარიკატურა ეკლესია ინგლისურ გაზეთ „დეილი უორკერიდან“.

უკანონობა

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იტყობინება: ამერიკის პრინს ედუარდის საგრაფოში (ვირჯინიის შტატი) 1959 წლიდან დახურულია ყველა მუნიციპალური სკოლა.

აშკარა რასიზმის მომხრე ადგილობრივმა ხელისუფლებმა აქციეს სკოლების კარი, რათა არ დაუშვან თეთრკანიან და ნაგბთა ბავშვების ერთად სწავლება. ფულადი სახსრები კი, რაც განათლებას უნდა მოხმარებოდა, გადაეცათ ერძო სკოლებს, რომლებმაც სასწავლებლად მიიღეს თეთრკანიანთა ბავშვები. ამ თვითნებობის შედეგად ზანგი მოსწავლეები უკვე ოთხი წლის განმავლობაში მოკლებული არიან სწავლის შესაძლებლობას.

მაგრამ საგრაფოს ხელისუფალთა უკანონობის საქმე გაცილებით ადრე დაიწყო. იგი უშედეგოდ მოგზაურობს სასამართლო ინსტანციებში 1951 წლიდან. 1954 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ერთობლივი სწავლების შემოღების შესახებ და არაკონსტიტუციურად ცნო სკოლებში რასობრივი დაყოფის პრაქტიკა.

საგრაფოს ზანგმა საზოგადოებრივობამ ამას წინათ კვლავ მოაგონა უმაღლეს სასამართლოს, რომ სკოლები ისევ დახურულია, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება — არ სრულდება. სკოლების დახურვა საგრაფოში, ხაზგასმულია პეტიციაში, ერთერთი ყველაზე სამარცხვინო თავია ამერიკის შეერთებული შტატების რასობრივი ურთიერთობის ისტორიაში.

უმაღლეს სასამართლოში ზანგ საზოგადოებრივობას დაპირდნენ, რომ პეტიციაში ჩამოყალიბებულ „მოსაზრებებს მოისმენენ“ მხლოდ 30 მარტს. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო მრავალი წლის გაჭიანურების შემდეგ აგრეთვე, ბოლოს და ბოლოს, მივიდა დასკვნამდე, რომ ეს საკითხი „მომწიფდა გადასაჭრელად“. მაგრამ ჯერჯერობით ზანგი ბავშვები სკოლის გარეშე არიან.

ზურუნველყოფთ ევიპროსის დამოუკიდებლობა

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საქდესი). გუშინ კვიპროსის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში როსიდესმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: კვიპროსის მთავრობა „პრინციპულად“ თანახმაა, რომ კუნძულზე გაგზავნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურე იმ პირობით, თუ მისი რწმუნებანი და სხვა დეტალები დამატებით იქნება განხილული.

როსიდესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვიპროსის თხოვნა მოიწვიონ უშიშროების საბჭოს სხდომა, კვლავინდებურად ძალაში რჩება. მან გარკვევით თქვა, რომ, თუ ლონდონის მომავალი კონფერენცია კვიპროსის პრობლემებზე ჩაიფუშა, კვიპროსი მოითხოვს, რომ შექმნილი კონფლიქტი კვლავ განიხილოს უშიშროების საბჭომ

„კომუნისტის“ პუბლიკაცია

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

უკვდავი სახე

ზაქარია ფალიაშვილის უცნობი ფოტოსურათები სამახსოვრო ავტოგრაფებით

საბჭოთა კავშირის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის ე. მ. ბრაუდოს ფონდში (№ 2024, ანაწერი 1, საქმე № 99) სხვა მასალებს შორის უკანასკნელ დროს მიკვლეულ იქნა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ფოტოსურათები ავტოგრაფული წარწერებით.

ეს ავტოგრაფები ნათელყოფენ, რომ ზაქარია ფალიაშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ლენინგრადის უნივერსიტეტისა და ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პროფესორთან ევგენი მაქსიმეს-ძე ბრაუდოსთან (1882-1940).

რუსეთის მუსიკის ცნობილი კრიტიკოსი და ისტორიკოსი ე. მ. ბრაუდო დიდად აფასებდა და პატივს სცემდა ზაქარია ფალიაშვილის ღვაწლს ქართული ეროვნული მუსიკის განვითარების საქმეში. 1929 წლის სექტემბერში ზაქარია ფალიაშვილს ე. მ. ბრაუდოსათვის, როცა იგი თბილისში ყოფილა სტუმრად, მიუძღვნია თავისი ფოტოსურათი სამახსოვრო ავტოგრაფული წარწერით:

„ღრმად პატივცემულ პროფესორ ევგენი ბრაუდოს, მოსაგონებლად, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილისა აგვ. 6. თბილისი, 1929 წლის 4 სექტემბერი“.

მეორე ასეთივე სურათი მიძღვნილია ე. მ. ბრაუდოს მეუღლის ნიომ დავითის ასულ ბრაუდოსადმი, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილის ოჯახის წევრები, ასევე ივანე და იულია ფალიაშვილები უთვლიან მეგობრულ სალამს, საუკეთესო სურვილებს და უსურვებენ მალე გამოჯანმრთელებას.

ე. მ. ბრაუდოს ფონდში დაცულია აგრეთვე გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის სამახსოვრო სურათი ავტოგრაფული წარწერით.

ეს ფოტოსურათები რუს და ქართველ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მათი ოჯახების წევრთა მეგობრული სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა.

გულნარა გოზალიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის მეცნიერი თანამშრომელი.

უნიკალური საჩუქარი

ფოთელმა მესაათე ოსტატმა-გამომგონებელმა ა. ვაშაძე, რომელსაც საკუთარი ხელით დამზადებული ორიგინალური საათების მდიდარი კოლექცია აქვს, ახლახან დაამზადა კიდევ ერთი ორიგინალური ალბომი-საათი, რომელიც საჩუქრად მიუძღვნა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას.

ვარდისფერყდიან ალბომზე ოქროსფრად გამოსახულია საქართველოს სსრ დროშა და მინაწერი „საქართველოს კპ XXII ყრილობას“. ქვემო ნაწილში ჩასმულია საათის კორპუსი, რომლის ციფერბლატს ციფრების ნაცვლად მოკრული აქვს ცნობილი ქართველი მეჩაიეების თ. უუფუნიას, ტ. ჩხაიძის, დ. ტაკიძის, მ. ჯინჭარაძის, ლ. მაღულარიას, ა. ჯიჯავაძის, ნ. მამეიშვილის, ა. გოგუას, ნ. გოგატაძის, ფ. წოთელაძის, ლ. დვალიშვილის, თ. პაკელიანის პატარა სურათები.

ალბომის პირველ გვერდს ამშვენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ქართველ მეჩაიეთა შრომითი გამარჯვების აღსანიშნავად. შემდეგ ვკითხულობთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს: „ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესოა მსოფლიოში“.

ალბომის მომდევნო გვერდზე ფერადოვნად ჩაკრულია ყურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ფოტოსურათები და პატარა წერილები, რომლებიც მიძღვნილია მეჩაიეთა თავდადებული შრომისადმი. აქ არის სურათი — ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო საქართველოს ჩაის პლანტაციებში, პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას სურათი და სხვ.

კ. კომახიძე.



ШОЛОХОВИС ГМИРЕБИ ЕКРАНЗЕ

ЛЕНინგრადი. კინოსტუდია „ლენფილმში“ მთავრდება ფილმ „დონის ამბის“ გადაღება. მიხეილ შოლოხოვის დონური მოთხრობების მოტივების მიხედვით სცენარი დაწერა ა. ვიტოლმა, რეჟისორია ვ. ფოტინი. მომავალი ფილმის ბევრი ეპიზოდი გადაღებულია ვეშენსკაიას როსტოვის ახლოს, სწორედ იმ ადგილებში, რომლებიც მიხეილ შოლოხოვს აღწერილი აქვს სცენარის საფუძვლად აღებულ მოთხრობებში. რეჟისორ ვლადიმერ ფოტინს კინომაყურებლები იცნობენ მხიარული კომედიის „ხოლიანი რეისის“ და პოეტური ფილმის „ქვიცის“ მეხედვით, რომელიც [illegible] თებულია მ. ა. შოლოხოვის მოთხრობის საფუძველზე. „დონის ამბავში“ მთავარ როლს ევგენი ლეონოვი ასრულებს. ეს კომედიის ცნობილი მსახიობის პირველი დრამატული როლია.

სურათზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. გრიბოვი (ზევით) სტანიჩნიკის როლში და რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. ლეონოვი მეტყვიამფრქვევე მებრძოლის შიბალოკის როლში.

ფოტო ვ. მარტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

МСОФЛІОС САУКЕТЕСО МОЦЕКВАВЕ

ЛЕНინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტს იური სოლოვიოვს გადაეცა პარიზის ცეკვის აკადემიის ვაცლავ ნიჟინსკის სახელობის დიპლომი როგორც მსოფლიოს 1963 წლის საუკეთესო მოცეკვავეს.

სოლოვიოვი 23 წლისაა. მსახიობი ბალეტებში „ჟიზელში“, „ბედის ტბაში“, „ქვის ყვავილში“ ცენტრალურ პარტიებს ასრულებს.

იურიმ ხუთი წლის წინათ დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი. მან უკვე ბევრი ქვეყანა მოიარა. მის ხელოვნებას იცნობენ რუსული ბალეტის მოყვარულნი ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, იაპონიაში, ეგვიპტეში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში.

სურათზე: იური სოლოვიოვი ბ. მაიზელის ბალეტ „შორეულ პლანეტაში“, სადაც იგი ასრულებს უშიშარი ადამიანის, მძლავრი დედამიწის შვილის როლს, რომელმაც შორეული პლანეტის საიდუმლოებანი უნდა გამოიცნოს.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

САІНТЕРЕСО САДАМО

ჰიათურა. (საკ. კორ.). ამდენი ხალხი და ამდენი მხიარულება კარგა ხანია არ ახსოვს აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრს. იმ საღამოს აქ ყველა პროფესიისა და ასაკის ადამიანს ნახავდით. გართობისა და დასვენების საღამომ, რომელიც პარტიისა და კომკავშირის ქალაქკომებმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და პროფკავშირებმა მოაწყეს, შინაარსიანად ჩაიარა.

დამსწრეებს მრავალნაირი გასართობი შესთავაზეს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში. მოეწყო სამეჯლისო ცეკვები, თოჯინების თეატრის წარმოდგენები, ლატარიის გათამაშება.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი ჰიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის მონაწილეობით.

სასურველია ასეთი საღამოები ხშირად მოეწყოს.

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი

კასპში საქალაქო საავადმყოფოსთან შეიქმნა და მუშაობას შეუდგა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი საავადმყოფოს მთავარი ექიმი კ. კეკელიძე), რომელშიც ჩაბმულია 116 დიასახლისი. სწავლება ორწლიანია.

„სალამური“ გათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ქუთაისის სახელმწიფო ფილარმონიასთან ახლახან შექმნილმა ახალგაზრდულმა ანსამბლმა ორკესტრმა „სალამურმა“ რამდენიმე კონცერტი გამართა ბათუმში.

ქუთაისელთა პროგრამა ძირითადად მოიცავდა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა სოლისტმა მ. ბარდაველიძემ, რომელმაც შეასრულა ქართული სიმღერები „სალამურო“ და „მე თბილისელი ბიჭი ვარ“. კარგი იყო მ. იონანიძის მიერ შესრულებული ზანგური და არაბული სიმღერები და სხვ.

ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელია მ. იაშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელები — ლ. ტყაბლაძე და ი. ჭაბუკოვი.

ГІНАНУЛІ ФІНІШІТАН

ერთი დღის შესვენების შემდეგ ჰასტინგსის საახალწლო საკადრაკო ტურნირის მონაწილეები კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში. ეს იყო ამ ტრადიციული ასპარეზობის უკანასკნელისწინა მერვე ტური.

პირველ ტურნირში, გვაცნობა ნ. გაფრინდაშვილმა, გამარჯვების რეალურ შანსებს ინარჩუნებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი, რომელმაც გუშინ სატურნირო ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. ყურადღების ცენტრში იდგა ა. ხასანისა და გროსმაისტერ ს. გლიგორიჩის პარტია, მაგრამ იგი ამ დღეს დაუმთავრებელი დარჩა. გადადებულ პოზიციაში ხასანს ზედმეტი პიაკი აქვს.

მეორე ტურნირში ჩემს წინააღმდეგ თამაშობდა ინგლისელი ოსტატი ტეილორი. მეტოქეს პიაკი შევწირე და უკეთესი პოზიცია მივიღე, მაგრამ შემდეგ არასწორი გაგრძელება ავირჩიე და პირველი დამარცხება განვიცადე.

რვა ტურის შემდეგ პირველ ტურნირში წინ არის მ. ტალი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. მეორე ტურნირში 6 ქულით ლიდერი გახდა შვედი კინმარკი, მე 5,5 ქულა მაქვს.

ТБІЛІСІ — ХАСТІНГСІ

СІНАНУЛІ ФІНІШІТАН

8 იანვარს, ჭადრაკში სსრ კავშირის 1963 წლის ჩემპიონის ნონა გოფმანის დამატებითი მატჩ-ტურნირის პირველ პარტიაში ერთმანეთს შეხვდებიან ბ. სპასკი და ლ. შტეინი. რ. ხოლმოვი თავისუფალია. ეს ტურნირი 17 იანვარს დამთავრდება.

7 იანვარს გაიმართა წილისყრა, რომელშიც პრეტენდენტებმა შემდეგი ნომრები მიიღეს: ხოლმოვი — 1, სპასკი — 2, შტეინი — 3.

პირველი სამი ტური გაიმართება 8, 9 და 10 იანვარს, 11 იანვარს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება. შემდეგი ტურები დღეგამოშვებით გაიმართება. (საკდესი).

ВІН ІЧНЕБА ЧЕМПІОНІ?

КВЛАВ ФЕХБУРТОЗЕ...

ДІНАМОЕЛЕБІ АХАЛІ СЕЗОНІС ВІН

ფეხბურთის გულშემატკივართა მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს გასული საიუბილეო ჩემპიონატის მარათონი თავისი სიურპრიზებით და უკვე ახალი წლის პირველი დღეებიდანვე კვლავ ფეხბურთზე გვიხდება საუბარი.

დიახ, ოსტატთა კოლექტივებმა უკვე შეაჯამეს გასული სეზონის შედეგები, გაინიალეს მისი დადებითი თუ ნაკლოვანი მხარეები, დასახეს ღონისძიებანი და იწყებენ ახალი სეზონისათვის მზადებას.

პირუთვნელი, საქმიანი მსჯელობა ჰქონდათ გუშინ თბილისის დინამოელებს თავიანთი სტადიონის ოსტატთა კლუბში. საორგანიზაციო თათბირი გახსნა გუნდის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ღოღობერიძემ. მან ხაზი გაუსვა წინა სეზონთან შედარებით გასული წლის არასახარბიელო შედეგს, იმას, რომ გუნდს ჰქონდა არაერთი ჩავარდნა, ილაპარაკა დისციპლინაზე, კოლექტივის მონოლითურობაზე.

თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. იაკუშინმა ფეხბურთელებს გაცნო ახალი სეზონისათვის მზადების გეგმა. ამასთან თქვა, რომ გუნდს აქვს იმის შესაძლებლობა და პირობები, რომ იზრუნოს მხოლოდ სპორტით ადგილებისათვის, ფეხბურთის მწვრთვალების დასაყრობად. მ. იაკუშინმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩავარდნებს გასულითს მატჩებში.

სიტყვებით გამოვიდნენ გუნდის კაპიტანი შ. იამანიძე და საქართველოს სასპორტო ბჭოს მაგიდოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

დღეს დინამოელები თავიანთ სპორტულ ბაზას მიაშურებენ და ახალი სეზონის პირველი წვრთნა ექნებათ. ძირითადი კერსი აღებულია იმისაკენ, რომ ფეხბურთელები ღია ცის ქვეშ ვარჯიშობდნენ. კვირაში ორი დღე დათმობილი ექნება ფიზიკურ მომზადებას, სამი დღე — ბურთით ვარჯიშს, ტექნიკასა და ტაქტიკას, ერთი დღე — ცურვას.

ჩვენი ფეხბურთელები „დინამოს“ სტადიონსა და დიდმოს სასპორტო ბაზაზე წვრთნას 18 თებერვლამდე გააგრძელებენ და ამაკე დღეს ლესელიძეში გაემგზავრებიან ერთთვიანი შეკრების გასავლელად. ლესელიძეში მათ 4 საკონტროლო შეხვედრა ექნებათ. ეს მატჩები ნავარაუდევია 1,8,12 და 17 მარტისათვის. სეზონის ნახსნის წინ უკანასკნელ საკონტროლო მატჩს დინამოელები ჩაატარებენ თბილისში 24 მარტს.

როგორც გუნდის უფროსმა ა. ღოღობერიძემ განაცხადა, საორგანიზაციო კალენდრით ჩემპიონატის პირველი მატჩი თბილისის „დინამოს“ ექნება საკუთარ მოედანზე 28 მარტს მოსკოვის „სპარტაკთან“. გუნდის შემადგენლობაში ჯერ-ჯერობით არსებითი ცვლილებები არ არის.

ГАЗЗЕТ „КОМУНИСТІС“ РЕДАКЦІЯСА

ნაბა გვიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებასა და პირს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ლეო ქიაჩელის გარდაცვალების გამო.

ლეო ქიაჩელის ოჯახი.

ГУЛЬ СІЦОЦХЛЕ ДАУБРУНЕС

ეს ინტერვიუ აღებულია იმ ადამიანისაგან, რომელიც 45 წუთს არარსობაში, ანუ, მედიცინის ენით თუ ვიტყვით, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იყო. ჩემს წინ არის ოცდათხუთმეტი წლის ქალი საღი, ხალისიანი სახით. თაფლისფერი თვალები ღიმილით აქვს გაბრწყინებული. ახლა არაფერი არ მოგაგონებთ იმას, რომ იგი ესოდენ დიდხანს იმყოფებოდა სიცოცხლის ზღვარს მიღმა.

რა თქმა უნდა, ტატიანა პოზდეევა — ასე ეძახიან ჩემს თანამოსაუბრეს— გვიამბობს არა ამ ორმოცდახუთ წუთზე: იგი მაშინ ზომ ცოცხალი არ იყო და არაფერს არ გრძნობდა... საქმე ეხება იმას, თუ როგორ გრძნობს თავს ახლა.

— გულს არ ვვმდური, — გვეუბნება იგი, — რეანიმაციმა აჩვენა, რომ გული სრულ წესრიგშია.

და მას საუბარი გადააქვს თავისი სიცოცხლის შემდგომ გეგმებზე. ახლა ტატიანა დასასვენებლად მიდის. მისი შვილები, თორმეტი წლის ვალოდია და თერთმეტი წლის სლავა, სკოლა-ინტერნატში სწავლობენ და ცხოვრობენ. როცა საბოლოოდ გამოჯანმრთელდება, ტატიანა ოცნებობს დაუბრუნდეს საყვარელ სამუშაოს ლითონის ნაწარმის ქარხანაში.

ძნელი ოპერაციის მეორე საათი გადოდა. ქირურგ ანდრია მოროზოვს ისოა დარჩენოდა, რომ მუცლის ღრუზე ნაკეცრები დაედო. უცვლ შეხედა თავის პაციენტს და ტანში გაეჟრჟოლა: ავადმყოფი ალარ სუნთქავდა, სახე მთლად გაუფითრდა.

— მაჯა არ არის, — ოდნავ გასაგონად თქვა საოპერაციო ოდ.

პირველი ფიქრი ის იყო, რომ დაუყოვნებლივ გაეკეთებინათ ხელოვნური სუნთქვა. ქირურგი ენერგიულად აწვება გულს ცხელის არავითარი ნიშანწყალი არა ჩანს.

მოროზოვს ხელი უბუჟდება. ნეკნებით შებოჭილი ხელის მტევანი გაუსივდა. მაგრამ საჭიროა რადაც უნდა დაუჯდეს სიცოცხლე დაუბრუნოს ქალს. ხელმა რომ უმტკიცოს? ოცდაათი წუთი გავიდა, და თვითეულ წუთში ქირურგი 70-80 მოძრაობას ასრულებს.

— ალექსი, მოემზადე შემცვალო, — ეუბნება ბურდინი და უკვე მერამდენედ უშვერს გაოფლიანებულ შუბლს მედდას.

ბურდინი ცვლის თავის უფროს ამხანაგს სიცოცხლის ამ უჩვეულო ეტაპზე. ალექსი ბურდინი ეუბნება ალ. ბ. ბ. ... ...